საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 1078

30 11 2018წ.

ქ. თბილისი

„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თარჯიმნებისა და რედაქტორების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 30 აგვისტოს №798 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2018 წლის №1536711 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განხორციელდეს ცვლილება „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის თარჯიმნებისა და რედაქტორების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 30 აგვისტოს №798 ბრძანებაში და ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

001569

„5. კონკურსის შედეგად საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სამივე ეტაპის ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.“

2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნება.

3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

გიორგი ვაშაკიძე

შემსრულებელი:

ადამიანური რესურსების სამმართველოს კოორდინატორი

თარიღი: /30. 11. 18/ _____ /თამარ გოშაძე/

შეთანხმებულია:

ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსი

თარიღი: /30.11.18/ _____ /მაია აბდალაძე/

იურიდიული სამსახურის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი

თარიღი: /30.11.18/ _____ /ელენე ნიკოლაიშვილი/

სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი

თარიღი: /30.11.18/ _____ /მარინე ჟვანია/

ხელმოწერის თარიღი

30.11.18